აპრილი 2019

დრონი ახალი ამბები

ახალგაზრდული ორგანიზაცია „დრონის“ ახალი ამბების წერილი

BAKURIANI FOOD FEST

ამ გამოშვების ამბები

13 აპრილს გაიმართა საერთაშორისო FOOD ფესტივალი ბაკურიანში.ღონისძიებას ორგანიზება გაუწიეს მოხალისეებმა ჩეხეთიდან,ესტონეთდან,საქართველოდან ,საბერძნეთიდან და უკრაინიდან.

ფესტივალმა ხელი შეუწყო კულტურათა შორის მრავალფეროვან გაცვლას.
მონაწილეებმა დააგემოვნეს მრავალფეროვანი კერძები,მიიღეს მონაწილეობა საკვების მოსამზადებელ უორკშოფებში და შეიძინეს ეკოლოგიური პროდუქტები ადგილობრივი მწარმოებლებისგან.
საერთაშორისო და ადგილობრივმა მოხალისსების ჯგუფებმა ორგანიზება გაუწიეს ასევე მუსიკალურ და გასართობ ღონისძიებებს.

ფესტივალზე იყო შესანიშნავი ატმოსფერო.

დრონის წევრები საზღვარგარეთ

SOS- CHILDREN VILLAGES

SOS CHILDREN'S VILLAGES

17-აპრილს ახალგაზრდული ასოციაცია დრონის მოხალისეები შეხვდნენ **SOS –Children Villages** წარმომადგენლებს.შეხვედრა ზე დაიგეგმა სამომავლო აქტივობები რომლებსაც უხელმძღვანელებენ მოხალისეები-**Zofia Adamek და Delhia Simon.**

უორკშოფები ჩატარდება დრონის ოფისში. მონაწილეობას მიიღებენ ბავშვები 13 წელს ზევით, უორკშოფი მოიცავს აქტიურ მოქალაქეობრივ ჩართულობას და ქონფლიქის მენეჯმენტს.

დრონის წევრები საზღვარგარეთ

მე ვარ მაია ევსია და მე ვარ საქართველოდან, ვარ EVS-ით ტერველში(ბულგარეთი).EVS გრძელდება 12 თვის განმავლობაში და აპრილის ბოლოს დავბრუნდები სამშობლოში. მე ვმუშაობდი ორგანიზაცია „"Docho Mihaylov“ ში და ორ საბავშვო ბაღში, პატარა ქალაქ ტეველში. შეგუების პირველი თვე ძალიან რთული იყო, რადგან ვცხოვრობდი პატარა ქალაქში სადაც ყველამ ყველაფერი იცის შენს შესახებ შენ კი არავის იცნობ და ვერ გებულობ მათ ენას. რამოდენიმე თვეში სიტუაცია შეიცვალა, მას შემდეგ რაც მათთან ურთიერთობა დავიწყე. ძალიან ბედნიერი ვიყავი რადგან მათ მოსწონდათ ჩემთან კომუნიკაცია, საუბრობდნენ ჩემზზე, ჩემს ქვეყანაზე და ა.შ.

ჩემი მოვალება იყო მემუშავა ახალგაზრდებთან სკოლაში:

-ახალგაზრდულ კლუბებთან მუშაობა, არაფორმალური ენის კურსები ინგლისურში, რათა გაძლიერებულიყო მათი ენის ცოდნის დონე.

-კრეატიული აქტივობები ინგლისურ ენაზე

- მონაწილეობის მიღება კულტუტრული ღონისძიებების ორგანიზებაში

-მონაწილეობა ტრენინგებში სხვადასხვა თემებზე

-მოხალისეობრივი კამპანიების ორგანიზება, საკუთარი პროექტების და აქტივობების შექმნა.

მე მსურდა კონტაქტი დამემყარებინა სტუდენტებთან, რომლებმაც არ იცოდნენ ინგლისური, ამიტომ მე დავიწყე მასპინძელი ქვეყნის ენის შესწავლა (ბულგარეთის ენა), თავდაპირველად რთული იყო სტუდენტებთან და ადგილობრივებთან კომუნიკაცია. დავიწყე ონლაინ ენის კურსის გამოყენება და კომუნიკაციას ვამყარებდი სტუდენტებთან, რადგან მათგან ვსწავლობდი ახალ სიტყვებს, ვუსმენდი სიმღერებს მათ ენაზე და ზოგჯერ ფილმებსაც ვუყურებდი. ყველაფერი ერთად დამეხმარა დამეწყო საუბარი, დამეწერა - რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემი სამუშაოსთვის. პროექტის განმავლობაში შევისწავლე ახალი ენა, ახალი ქვეყანა, თუ როგორ გავაკეთო პრეზენტაცია პუბლიკის წინაშე, ROOR ვიმოგზაურო მარტო, როგორ ვიმუშაო კრიზისულ სიტუაციებში. ეს ყველაფერი დამეხმარება ჩემი ცხოვრების ახალ ეტაპზე, რადგან მე მსურს ვიმუშაო ახალგაზრდებთან.

მე ძალიან ბედნიერი ვარ რადგან სწორი გზა და სწორი პროექტი შევარჩიე, იმ გასაოცარი ადამიანებით რომელთანაც ვცხოვრობდი 11 თვე პატარა ქალაქში, რომელიც ჩემი მეორე სახლი გახდა. ყველანი ზრუნავდნენ მოხალისეებზე, ჩვენც ვეხმარებოდის ადამიანებს და ვირებდით დიდი ყურადღებასა და სიყვარულს მათგან. მინდა ყველას ვუთხრა რომ EVS არის გასაოცარი შანსი ცხოვრების შესაცვლელად., სიახლეების შესასწავლად, სამოგზაუროდ და ბევრ კითხვაზე პასუხის გასაცემად.

მაია ევსია

დრონის წევრები საზღვარგარეთ

გილოცავთ დაბადების დღეს!

რაც უფრო გემატება წლები , მით უფრო უკეთესი ხდები!

მარი გელაშვილი

ჯაბა მაღალაშვილი

ქეთი ლობჟანიძე

მარიამ ფაცაცია

თამარი გულიაშვილი

ლელე მაისურაძე

სოფო ინასარიძე

ხატია ცისკარაძე

ნინო მეტრეველი

მარიამ დოთიაშვილი

ელენე ბურჭულაძე

სალომე ჩილინგარაშვილი

ნიკა ჯანჯღავა

მომავალი ღონისძიებები

5 მაისს 2019